ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1649672

ნომერი: AR1272016

თარიღი : 11.12.2014

გაცემის თარიღი : 18.12.2014

გაცნობის თარიღი : 18.12.2014

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გორგასალის ქუჩა N14 / ქალაქი თბილისი , ქუჩა გორგასალი , N 14 , მიმდებარედ (ნაკვეთი 01/055);

დამკვეთი-განმცხადებელი

- ალექსანდრე ჯობავა პ/ნ 62006030542
- გალი სოფ. 1-გალი

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

თქვენი 2014 წლის 11 დეკემბრის #AR1272016 განცხადების პასუხად, რომლითაც ითხოვთ სამსახურის 18.08.2014 წლის №1439136 ბრძანებაში ცვლილების შეტანას გაცნობებთ, რომ სამსახურის 17.12.2014 წლის №1645457 ბრძანებით განცხადებაზე დაგიდგინდათ ხარვეზი და განგესაზღვრათ დამატებითი 5 დღიანი ვადა, რათა

წარმოგედგინათ გეგმები შესწორებული, ურთიერთშესაბამისი ფართების დაფიქსირებით და განმარტებითი ბარათი შესწორებული ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლებით. თქვენს მიერ ხარვეზი სრულყოფილად არ იქნა გამოსწორებული, კერძოდ, როგორც განმარტებიდან და წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ირკვევა ფართების დათვლა ხდება საცხოვრებელ ფართში როგორც ტიხრების ასევე კოლონების ფართების ჩათვლით. "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის 57 დადგენილების მე–18 მუხლის მე–3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სამყოფისათვის ფართობი განისაზღვრება მის შემომსაზღვრელ კედლებს შორის არსებული იატაკის ძირითადი კონსტრუქციის ზედაპირის ფართობით, მათ შორის არსებული საყრდენი კედლებისა და კოლონების ფართობის გარეშე (ბინის ფართობში არ იანგარიშება ასევე საყრდენ კედლებში და ბინის შემომსაზღვრელ კედლებში არსებული ღიობები, ბინაში არსებული იატაკის სხვადასხვა დონეების დამაკავშირებელი შიდა კიბე და მისი ბაქანი). შესაბამისად, წარმოდგენილი უნდა იქნას შესწორებული გეგმები ფართებში კოლონებისა და საყრდენი კედლების ფართების ჩათვლის გარეშე და მისი საანგარიშო კროკები. ასევე, წარმოდგენილი იქნას ამ ყოველივეს შესაბამისი შესწორებული ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური კვლავ გაძლევთ ხარვეზის სრულად შევსების შესაძლებლობას ხუთი სამუშაო დღის ვადაში. აღნიშნულ ვადაში სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 17.12.2014 წლის №1645457 ბრძანების შესაბამისად თქვენი განცხადება დარჩება განუხილველი.